ახალციხის ციხე
არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი

AKHALTSIKHE CASTLE
NONPROFIT (NONCOMERCIAL)
LEGAL ENTITY

ბრძანება

ბრძანება:ბ55. 12263063
თარიღი:02/11/2026

ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხის" სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (უზუფრუქტის უფლებით გადმოცემული) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემის მიზნით პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების", ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 06 მარტის N 8 დადგენილების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ახალციხის ციხის" წესდების მე-4 მუხლის, 4.3 ნაწილის ,,დ „ პუნქტისა და მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გასაცემად ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხის" სარგებლობაში არსებულ, ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. N1-ში, ,,ახალციხის ციხის" ტერიტორიაზე (ს.კ. 62.09.51.255) ღია სივრცის 6 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებით;

2. ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. N1-ში, ,,ახალციხის ციხის" ტერიტორიაზე (ს.კ. 62.09.51.255) არსებული ღია სივრცის 6 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 1900.00 (ათასცხრაასი ლარი) ლარის ოდენობით, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს 2026 წლის 22 სექტემბრის N 007288926 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად;

3. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ,,ბე" განისაზღვროს საწყისი წლიური საიჯარო თანხის 10%-ის ოდენობით;

4. ბიჯი განისაზღვროს საწყისი წლიური საიჯარო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

5. განისაზღვროს პირობიანი ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო: 2026 წლის 09 ნოემბრის 15:00 საათიდან - 2026 წლის 16 ნოემბრის 15:00 საათამდე;

6. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ჩაეთვალოს სარგებლობის ხელშეკრულების ვადის ბოლო პერიოდში გადასახდელი ქირის ოდენობაში;

ხარისჭირაშვილის ქ.N1 ახალციხე, საქართველო
ელ.ფოსტა: INFO@RABATI.GE
ტელ: 0 (365) 200 500

KHARISCHIRASHVILI ST. N1 AKHALTSIKHE, GEORGIA
EMAIL: INFO@RABATI.GE
TEL: 0 (365) 200 500

7. პირობიანი ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გაფორმდეს სარგებლობის ხელშეკრულება;

8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული სარგებლობის ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 5(ხუთი) წლის ვადით;

9. თანხა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

   მიმღების დასახელება: ,,ხაზინის ერთიანი ანგარიში"

   მიმღები ბანკი: ,,სახელმწიფო ხაზინა"

   ბანკის კოდი: TRESGE22

   სახაზინო კოდი: 740647019

10. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, მისთვის გადაცემული ქონების გამოყენებისას დაიცვას აუქციონის ან/და სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები და სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

11. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება უნდა გამოიყენოს ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული ბიზნეს საქმიანობისათვის;

12. უზრუნველყოს ა(ა)იპ ,,ახალციხის ციხის" შესაბამისმა სამსახურმა წინამდებარე ბრძანების განთავსება სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას;

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ N60ა).

ზაზა თამარაშვილი

ა(ა)იპ ახალციხის ციხე - დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი